ვენეციის ბიენალე 2008 წ. - „არქიტექტურა არქიტექტურის მიღმა“

კარგია რქიტექტორი ისაა, ვინც სივრცეზე ღირსეულად გაბატონდება, ხოლო გენიოსია ის, ვინც ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანის ემოციებზეც იმოქმედებს. არქიტექტურა ძალაა, ძალა სამყაროს ათვისებისა, შენობა კი არქიტექტორისთვის შვილად ქცეული ქმნილებაა, რომელშიც მთელს თავის შემოქმედებით უნარს, ფანტაზიას და განწყობას ატევს, გარდა ამისა თითქოს არქიტექტორი თავისი ქმნილებით ისტორიას წერს და გვიყვება თავის ამბავს ...

უამრავი ასეთი ისტორიული დღიურია წარმოდგენილი ვენეციის არქიტექტურის ბიენალეზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საინტერესო გამოფენას მასპინძლობს.

2008 წლის, რიგით მეთერთმეტე, არქიტექტურის ბიენალეს თემა „არქიტექტურა არქიტექტურის მიღმა“ ხსნის სპეციფიკურ მიდგომებს, ხედვებს და ექსპერიმენტებს, რომლებიც გვეხმარებიან, თანამედროვე სამყაროს უკეთ შეცნობასა და გაგებაში ამ კუთხით დანახული შენობისა და ზოგადად არქიტექტურის არსის გახსნაში. ბიენალეზე მონაწილე ქვეყნებმა სხვადასხვანაირად აღიქვეს თემა, რამაც ის ბევრად საინტერესო და განსხვავებული გახადა.

ბიენალეს თემის განხილვა შეუძლებელია არსენალეს სივრცის ექსპოზიციის გარეშე. სწორედ არსენალეს სივრცეში ვხვდებით იმ ინსტალაციებს, რომლებსაც მსოფლიოს ცნობილი ადამიანები წარმოგვიდგენენ.

ფრენკ გერი აკვირდებოდა თუ რას შეიცავს ერთი ფუნდამენტური დიზაინის იარაღი, მოდელი, ფართომასშტაბიანი პროექტი. ისინი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არქიტექტურული პროექტის განხორციელებაში, აყალიბებენ სივრცის განცდას, სამშენებლო დეტალებს, მასშტაბსა და მატერიალურობას. შთაგონების წყარო გერიმ ფრედერიკ ავგუსტუსის ბარტოლოს სტუდიაში გამოფენილი ფოტოებიდან აიღო, კერძოდ კი თავისუფლების ქანდაკების მოდელის კონსტრუქციის პლასტმასისა და ხის ნაწილებისგან და უნდოდა, რომ შეექმნა სამუშაო პროცესი. ინსტალაციის სათაური ungapatchket გერიმ შეარჩია სასტუმროს პროექტიდან, რომელიც ამჟამად რუსი სენატორის სერგეი გორდეევისთვისაა შექმნილი. ინსტალაცია, რომელიც გამოფენილია არსენალეში აშენდა 30*30 სანტიმეტრიანი ზომის ხის ძელებისგან. ფრენკ გერიმ ტრანსფორმირება მოახდინა, მან გაათავისუფლა შენობა კოლოფის საზღვრებისაგან. მისი ნაგებობა იქცა თანამედროვე სიტყვად არქიტექტურის ისტორიაში, გერის თქმით შენობის კარკასი ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე შეფუთული ბეტონის მასა, მუშაობის პროცესი კი სწორედ ამ კარკასში ჩანს. საბოლო ჯამში კი ფრენკ გერის ინსტალაცია ზუსტად აღწერს შინაარსს ბიენალეს თემისას.

განსხვავებული ინსტალაცია, რომელიც **მაქსიმილიანო ფუქსასის** სახელს უკავშირდება წარმოადგენდა კენსინგტონის ბაღს. ინსტალაცია შეიცავდა სამ ოთახს,

რომლებშიც შესვლა ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ისინი ერთგვარი სახლი – კონტეინერია, თავშესაფარი, ან ადგილი, სადაც უბრალოდ ცხოვრებაა შესაძლებელი. კონტეინერში დამონტაჟებულ ვიდეო ეკრანზე, ერთი ოჯახის ცხოვრების, ქალისა და კაცის შეხვედრის ნახვა შეიძლება. ისინი მეგობრობენ, ლაპარაკობენ, მიირთმევენ. იდეა გულისხმობს კონტეინერის სახით ერთ დიდ საცხოვრებელ ერთეულს, რომლის მიღმა ერთი ნაწილის, ამ შემთხვევაში ერთი ოჯახის ცხოვრება ჩანს.

ზაჰა ჰადიდი. ანდრეა პალადიოს დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, ზაჰა ჰადიდმა და პატრიკ შუმახერმა წარმოადგინეს "აურა". მან შექმნა ორი ქანდაკება აურა – S და აურა L. "აურა" არის პალადიოს ვილა ფოსკარის რომელიც ეფუძნება ჰარმონიულ პროპორციებს, ინტერპრეტაცია თანამედროვე სივრცეში, რომლის ელეგანტურობა და დინამიზმი ვითარდება არასწორი ხაზით, ვინაიდან რენესანსის არქიტექტორებმა თავიანთი კომპოზიციებით შეისწავლეს ჰარმონიის მუსიკალური კონცეფცია და მათემატიკური ურთიერთობები, ჰარმონიულობა და წონასწორობა. პროპორციული სისტემისგან და მათემატიკური ალგორითმით თანდათანობით იცვლება გენოტიპური ელემენტარული სივრცის განსაზღვრა, რომლის ფორმა შეიცავს დნმ-ს მთელ პალადიოს წესებს. შედეგი არის ახალი და უფრო კომპლექსური წესრიგი, რომელიც შეინარჩუნებს კლასიკურ პროპორციებს, მაგრამ არ არის დაცული მყარი გადაწყვეტა. სინამდვილეში ზაჰა ჰადიდი ეხმიანება lorentz attractor-ის განტოლების პარამეტრებს, რომლის თქმითაც ყველა მცირე ცვლილება გამოიწვევს სხვადასხვა შედეგს, რაც შეინარჩუნებს იმავე წესრიგს, თუმცა შეცვლილი პროპორციებით. (ეს არსენალეს და ზოგადად ბიენალესთან რა კავშირშია?)

საინტერესოა ზაჰა ჰადიდის ე.წ. „ცვლილებების ოთახში" დასმულ კითხვებს პასუხი თავისთავად გაეცა. დამთვალიერებლის მოძრაობიდან გამომდინარე იცვლება სინათლის ეფექტები და შესაბამისად ის ადამიანზეც დიდ გავლენას ახდენს. ოთახი მთლიანად იცვლება გარდამავალი სინათლის თამაშით, მას შემდეგ რაც დამთვალიერებელი ზღურბლზე ჩნდება. (აქ ჩასვი მე რაც მოგწერე)ცვლილებების ოთახის სცენარი ნათელი და მარტივია, ნაგებობა მოიცავს იდეებს, რომლებიც არსებითად არქიტექტურის კუთვნილებაა. საბოლოო ჯამში ეს ინსტალაცია ეხება არქიტექტურის თავისებურებას და ასახავს ადამიანისა და არქიტექტურის ურთიერთკავშირს.

გრეგ ლინი გვთავაზობს პროექტს, რომელმაც უსიცოცხლო სათამაშოებს სული შთააბერა. ინსტალაცია გახდა „ოქროს ლომის" მფლობელი, საუკეთესო ინსტალაციისთვის. აქ წარმოდგენილი იყო ბავშვთა სათამაშოებისგან დამზადებული ავეჯი. ობიექტი შეიცავდა ორი განსხვავებული ზომის მაგიდას, რომლებსაც პლასტმასის პანელის ზედაპირი ჰქონდა, იქვე იდგა დაბალი სკამი, სათავსი, ქურთუკის საკიდი და ცილინდრული ფეხსაცმლის კარადა. მისი იდეა გულისხმობდა

უკვე გამოყენებული სათამაშოების განახლებას ავეჯისა და სხვა გამოყენებადი ნივთების შესაქმნელად.

Asymptote architecture. სამი მრგვალი და ელეგანტური საგანი არის კომპიუტერული მეცნიერების შედეგი ანუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს შენობა თუ მას გამოვიკვლევთ აეროდინამიკურ მილში, ზუსტად ისე როგორც მანქანებთან და თვითმფრინავებთან მიმართებაში ვიქცევით. ეს სამუშაო გვაგონებს 1960–80-იანი წლების დასაწყისში ჩატარებულ გამოგონებებს, როდესაც არქიტექტურას, ხელოვნებასა და ინჟინერიას შორის ზუსტი საზღვრის გატარება შეუძლებელი იყო. არქიტექტურა მართლაც ტოვებს თავის ანაბეჭდს, როგორც კულტურის მაჩვენებელი, ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს სამ ქვეცნობიერ სახლთან, რომლებიც წარმოებულია ბოჭკოვანი მინისგან და შეღებილია მაღალი პრიალა ლაქით.

„ის რასაც ჩვენ წარმოვადგენთ ვენეციურ ბიენალეზე არის ხელოვნებისა და არქიტექტურის სინთეზი. ეს ნამუშევრები წამიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ. თითქოს მათ დაიჭირეს წამი ავეჯსა (თუ დიზაინსა) და ფართომასშტაბიან შენობებს შორის. ისინი წარმოადგენენ ლამპიონის სახეს, რომელიც სცენაზე ისე იღვრება, როგორც ხაფანგში გაყინული არქიტექტურული მექანიზმი. ჩვენ ციფრულ რეალობაში გვიწევს ცხოვრება, რაც იმას გულისხმობს, რომ სხვა გზა არ არსებობს, გარდა იმისა, რომ მის გარშემო ვიცხოვროთ. მე, შენ, ჩვენ არ შეგვიძლია გავექცეთ მას. – ამბობს ჰანი რაშიდი.

ვენეცია თითქოს დამხმარე ტურისტულ ადგილად იქცა. იმისთვის რომ თავისი ცენტრალური ინდუსტრია შეინარჩუნოს ვენეციამ თანამედროვე სამყაროსთან ბრძოლაში თავისი ისტორიული იდენტობა უნდა შეიმოსოს და ებრძოლოს შემდეგ სიტყვებს: ვენეცია ძალიან პატარაა, ზედმეტად ნელია, არაეფექტურია, კარგავს მოსახლეობას და ავთენტურ სამოქალაქო ცხოვრებას, ზედმეტად დაბინძურებულია და სწორედ ამიტომ ამ წლის ბიენალეზე **დილერ სკოფიდიოს** მიერ წარმოდგენილი იყო ორი ერთმანეთის პირისპირ მდებარე ეკრანი, მასზე მიმდინარეობს ვიდეო ჩვენება. ვიდეო პლატფორმის მიზანია ქალაქის სტრატეგიულ წერტილებთან დაკავშირება. ილუზორული ქალაქი წარმოდგება როგორც ნავი რომლითაც ვირტუალურად მოგზაურობ, რაც გლობალური ადგილების შეკრებისა და უწყვეტი რეალობის აღქმისთვისაა გათვალისწინებული.

დილერ სკოფიდიოს აზრით განა ყველა არ ვოცნებობთ მომავალზე?, საინტერესოა თუ როგორ აშენდება ქალაქები, როგორი იქნება ისინი და როგორ შეეგუებიან ტექნოლოგიურ ცვლილებებს. შიშთან და მოლოდინთან ერთად ინოვაციები მოთხოვნებს ეჯახება და ჩნდება ახალი იდეების კორიანტელი. ამჯერად კი საქმე გვაქვს ქალაქთან ცაში მოსიარულე მანქანებით. რა მოხდება თუ გაჩნდება ცაში მოსიარულე მანქანები, რომლებიც თავისუფლად იმოძრავებენ შენობებს შორის?

„ცის მანქანები აგვარიდებენ გადაჭარბებულ მოძრაობას და შექმნიან ქალაქს საცობის გარეშე. ასეთ ქალაქში შუქნიშნები გადაინაცვლებენ მანქანის ბორტზე არსებულ ნავიგაციის სისტემაში, პარკინგების პრობლემა გაქრება ქალაქი ბევრად უფრო დიდი და მრავლისმომცველი გახდება. ეს გამოგონება ურბანულ სივრცეში იტყვის ახალ სიტყვას. ყოველი იდეა უნდა უკავშირდებოდეს მომავალს და ახალ ტექნოლოგიებს.“

(თუ ჩასვავ აქ კიდევ არსენალეს სივრციდან თუ არადა საკმარისი იქნება)

ყურადღებას იქცევდა ჯარდინიზე მდებარე რუსეთის პავილიონი. რუსეთში, ისევე როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, არქიტექტურულ მოვლენებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. რუსეთისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა რუსეთში ცოტა ხნით ნამყოფი ან საერთოდ არამყოფი უცხოელი არქიტექტორები, შექმნან ტექნიკურად ბრწყინვალე პროექტი თუნდაც უინტერესო? ან ხომ არ გამოიწვევს საერთაშორისო დიზაინის იდეების იმპორტირება არქიტექტურულ სივრცეში ადგილობრივი ამბიციების ეროზიას? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იყო რუსეთის პავილიონში მოწყობილი გამოფენის მთავარი მოტივი.

რუსეთი წარმოადგინა ალექსანდრე ბროდსკის ინსტიტუტმა, მათი აზრით ხილული არქიტექტურა ყველაზე დელიკატური და საყვარელი თემაა კრიტიკოსებისთვის, სწორედ ამიტომ ამ წლის ბიენალეზე რუსეთმა გადაწყვიტა დაერღვია აქამდე არსებული ტრადიციები, წარსულის ჩვენების გარეშე და მომავალის ოცნებაზე უარის თქმით მათ ზუსტად ასახეს რეალობა. ამ იდეის ავტორი რუსი პავილიონის ერთ-ერთი კურატორი, ვენეციის მე-11 არქიტექტურული ბიენალეს წარმომადგენელი გრიგოლ რევზინი გახლდათ, რომლის თქმითაც თითოეული ტერიტორია არის სივრცე, რომელიც უნდა აშენდეს, სწორედ ამ თემას ეხმიანებოდა მათი ინსტალაციაც, რომლის ექსპოზიციის შექმნაში საბოლოო ჯამში 15–მა რუსმა და 10-მა უცხოელმა არქიტექტორმა მიიღო მონაწილეობა. მათ წარმოადგინეს ძალიან საინტერესო, გასხვავებული ფორმატისა და აზრთა ერთიანობით შემდგარი ნოვატორული იდეა. შექმნეს სხვადასხვა არქიტექტორების მიერ შექმნილი ასეულობით მცირე ზომის არქიტექტურული მოდელი, რომლებიც ემსახურებოდა რუსული ლანდშაფტის ერთგვარ პოპულარიზაციას.

დიდი ინტერესი გამოიწვია კორეულმა კუთხემ, რომელშიც ჰიუნგ მინ ფეიმ და მუნ ჯივაიუ ჩოიმ წარმოადგინეს 1000 წიგნის ნიმუში და 20 სინქრონიზებული LCD მონიტორი, ისინი გვიამბობენ სრულიად ახალი ქალაქის ამბავს, რომელიც აშენდა სამხრეთ კორეის ჩრდილოეთით მდებარე საზღვართან, 30 კილომეტრის დაშორებით სეულიდან და წარმოადგენს საგამომცემლო კულტურულ საზოგადოებას. 1980-იანი წლების ბოლოს კომუნისტურ ახალგაზრდა იდეალისტების ჯგუფმა დაიწყო ამ სფეროს განვითარება, რომელიც ამჟამად 130 გამომცემლობას აერთიანებს. გარდა ამისა ბიენალეზე წარმოდგენილ ინსტალაციაში

იკითხებოდა შინაარსი განათლებისა, რომ არქიტექტურა არქიტექტურის მიღმა სწორედ ფურცლების ქაოსით შექმნილი წიგნებია, წიგნები რომლებიც საუკეთესო მასალას ქმნიან განათლებისთვის. განათლება კი, არამარტო არქიტექტურის, არამედ ყველა სფეროს ღრმა შინაარსია.

საინტერესო იყო ესპანური პავილიონი, სახელით „ექსტრემალური ბუნება“, ანუ სივრცული ლანდშაფტი. ის წარმოდგენილი იყო სათბურის სახითა და გარშემორტყმული ხის სკამებითა და ჩაისთვის განკუთვნილი ვინტაჟური მაგიდებით. პავილიონის ინტერიერი გლუვი, გამჭვირვალე და ცარიელია, საიდანაც მოჩანს ბუნების ელემენტები (ხეები, ყვავილები და სხვა მცენარეები, ასევე იშლება ხედი მთებზე, ტბებსა თუ სხვა ბუნებრივ ლანდშაფტზე). ნამდვილი ბუნება მხოლოდ პავილიონის გარეთაა, თუმცა ჰაერის კონდენცირების სისტემა ხელოვნურ გარემოს უფრო სრულყოფილს ხდის. რეალურ ბაღთან კავშირს ამყარებენ გამჭვირვალე კედლები, ამიტომ ზღვარი ქრება და საბოლოოდ არქიტექტურა ხდება ბუნების თანაზიარი.

***

ვენეციის ბიენალე არის ერთ–ერთი ადგილი სადაც არქიტექტურა სივრცული ხელოვნების სახით თავის ძირითად იდენტობას უბრუნდება. რომ შევაჯამოთ, 2008 წელს ვენეციაში მონაწილეობა მიიღო 52–მა ქვეყანამ, შესაბამისად, საინტერესო ინსტალაციებსა და პავილიონებზე საუბარი კიდევ დიდხანს შეიძლება, რადგან თითოეულმა მათგანმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბიენალეს სრულყოფაში. სწორედ მათ განიხილავს კურატორიც და ამბობს:

„2008 წლის ბიენალე წარმოდგენს ინსტალაციებს იმის შესახებ, რომ არქიტექტურა არ არის მხოლოდ შენობა, რომელსაც არ გააჩნია ფუნქცია. მინდა ჩემი სიტყვები უბრალოდ ფურცელზე კი არ დარჩეს, არამედ თითოეულმა მნახველმა შეიგრძნოს, რომ არქიტექტურა წარმოადგენს რაღაც აბსოლუტურად ჩუმს, რასაც ჩვენ თანაცხოვრებისას გამოცდილებით ვაგროვებთ. ვერასდროს ვერ იგრძნობ შენობას სანამ მასთან ერთად მისი შინაარსის ამსახველი სიტყვები არ გაჩნდება. ხედვები, წარმოსახვები აუცილებელია და სწორედ ისინი გვევლინება ასეთი ბიენალეების ფარგლებში“. საბოლოოდ კი მინდა მადლობა ვუთხრა თითოეულ არქიტექტორს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბიენალეში. დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულმა მათგანმა გაცილებით მეტი გაიღო ბიენალესთვის, ვიდრე ჩვენ

მათთვის და სწორედ ამიტომ სიამაყით მავსებს ეს ფაქტი. მინდა მადლობა ვუთხრა მათ ხედვებისთვის, ფორმებისა და წარმოსახვისთვის, კონსტრუქციებისა და ინსტალაციებისთვის დაუღალავი შრომის და მთლიანობაში იმ არქიტექტურისთვის რაც 2008 წელს მათ წარმოადგინეს. ისინი ერთად წარმოადგენენ ბიენალეს ერთ მთლიან ინსტალაციასა და არქიტექტურას“.